

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №7

ქ. გარდაბანი

10 ივლისი 2024 წელი 12⁰⁰ სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი:

სამირ ხიალოვი	გიორგი გურულიშვილი
ვუგარ მამედოვი	ლია მეტრეველი
ტარიელ ჯანხოთელი	ფლორა ასკაროვა
შახადატ მეხრაღიევი	ზურაბ კორახაშვილი
ლევან ნიჟარაძე	ლალი კახურაშვილი
კამრან ბაბაევი	გუსეინკულუ მუსაევი
სახმან მირზოევი	აბდულალი იბრაგიმოვი
დავით ებილაშვილი	
რასიმ ისაევი	
ლევანი ბეგლარიშვილი	
ზურაბი ბენდელიანი	
ბეთქილი კახიანი	
ისლამ მამედოვი	
მაია შამედოვა	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის ხელმძღვანელი - ოთარი გავაშელიშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება) ხელმძღვანელი - მარიამ ჟღენტი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შალვა გურულიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

- 1 „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22

წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შალვა გურულიშვილმა - საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის**

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 05 ივლისის №181824187118 წერილით წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისპროექტი „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით გამოყოფილი თანხა შემცირდა 250,291 ლარით და შეადგინა-9,475,898 ლარი. ჭარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა სხვა შემოსავლების მუხლი 569,100 ლარით, კერძოდ: პროცენტი-135,000 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 100,000 ლარი, ჯარიმები, სანქციები, საურავები-334,100 ლარი. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებიდან მიღებული ეკონომია - 343,210 ლარი. სულ - 912,310 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ქ. გარდაბანში, ლესელიძის ქუჩაზე სამი ერთეული სკვერის რეაბილიტაცია 500 ლარი;
- ქ. გარდაბანში, ლელაშხას დასახლებაში რკ/ბეტონის კიუვეტის და წყლის ჩამკეტი მექანიზმის მოწყობა - 3,900 ლარი;
- სოფ. მარტყოფში, შინჯიკაშვილის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - 69,700 ლარი;
- სოფ. ნორიოში შიდა გზების რეაბილიტაცია - 81,800 ლარი;
- სოფ. სართიჭალაში საგზაო ნიშნების მოწყობა - 4,200 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი 175,000 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 30,000 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო სოციალური უზრუნველყოფა 20,000 ლარი; სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები - 300,000 ლარი;
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი - 81,600 ლარი; ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო
- გაერთიანება - 43,538 ლარი; ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი 38,623 ლარი;
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი 19,250 ლარი;
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება - 44,199 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –22

წინააღმდეგი –0

მიღებულია დადგენილება №18 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი 2.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათით, ბენზინის ლიმიტი რჩება უცვლელი, ხოლო დიზელის ლიმიტი გაიზრდება 300 ლიტრის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –22

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №58 - „გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



გიორგი გედეხაური